

„გალში შიშობენ, რომ სოხუმის რეჟიმი კიდევ 7 ქართული სკოლის დახურვას გეგმავს“

“ოპტიმიზაციის” ფარგლებში სოხუმის რეჟიმი გალში კიდევ 7 ქართული სკოლის დახურვაზე ალაპარაკდა. ოფიციალურად გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უკვე არსებულ პრეცედენტს, როცა გასული წლის მიწურულს თაგილონის სკოლა დაიხურა, ადგილობრივი მოსახლეობა უარესის მოლოდინშია.

“ეს ფაქტობრივად ისედაც დაცლილი სოფლების სულ მთლად დაცლას ნიშნავს,“ – უთხრა DFWatch-ს გალის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა.

გარდა ამისა, მიდის საუბარი სკოლის ქართველი დირექტორების აფხაზებით ჩანაცვლებაზეც. „მიმდინარე წელს, სოფელ ბარდების სკოლის დირექტორი უკვე შეცვალეს. ის ახლა აფხაზია. ასევე აქტიურად განიხილება სხვა, კონფლიქტის ზონის კვალობაზე საკმაოდ მაღალკონტიგენტური სკოლის დირექტორების ჩანაცვლებაც“, – აღნიშნავს კიდევ ერთი ადგილობრივი პედაგოგი.

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტის ხელმძღვანელი ნონა შონია ამბობს, რომ სკოლების დახურვის შესახებ მასაც სმენია, თუმცა იმედს იტოვებს, რომ საბოლოოდ ეს სისრულეში არ იქნება მოყვანილი.

„სკოლების ოპტიმიზაციაზე მართლაც მიდის საუბარი, თუმცა ადმინისტრაციაში ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ამ სასწავლო წლის დასრულებამდე ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. აქცენტი უფრო ქართველი დირექტორების აფხაზებით ჩანაცვლებაზე კეთდება“, – განუცხადა DFWatch-ს ნონა შონიამ.

შეგახსენებთ, რომ ერთი ქართული სკოლა გალის რაიონის სოფელ მეორე თაგილონში გასულ წელს უკვე დაიხურა. ამჟამად გალის რაიონში სულ 10 ქართული სკოლა ფუნქციონირებს. მთლიანობაში გალის რაიონის ტერიტორიაზე 30 სკოლაა, სადაც 4315 მოსწავლე სწავლობს.

16.04.2018

<http://dfwatch.net/%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%94%e1%83%9c-%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9b-%e1%83%a1%e1%83%9d%e1%83%ae%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%98-50230>

„დეპუტეტმა ალხას ჯინჯოლიამ მრავალშვილიანი შეჭირვებული ოჯახების დახმარების ახალ მეთოდებზე ისაუბრა“

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის სოციალური პოლიტიკის, შრომის, ჯანდაცვის, დემოგრაფიის, ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კომიტეტის თავმჯდომარემ ალხას ჯინჯოლიამ ჟურნალისტებთან ისაუბრა დე-ფაქტო პარლამენტში შესატან კანონპროექტზე, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას ეხება.

მაღხაზ ჯინჯოლის თქმით, „ჩვენ ვაპირებთ, ოჯახები, რომელთაც ექვსი ან მეტი შვილი ყავთ, გავათავისუფლოთ კომუნალური და საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის გადასახადებისგან. კანონპროექტში ვაპირებთ შევიტანოთ მუხლი სოციალური პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ოჯახებისთვის შეთავაზებულ იქნება არა მარტო შეღავათების მონეტიზაცია და დახმარებები არამედ, მიეცემათ შესაძლებლობები თვითონ გამოიმუშავონ ფული. აფხაზეთში ასეთი ოჯახების რაოდენობა 50-ს შადგენს, რაც გვამღევეს შესაძლებლობას განვახორციელოთ ეს პროექტი როგორც ექსპერიმენტი, რომელიც არ გამოიწვევს სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან დანახარჯებს“

18.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/radio/20180418/1023702675/dzhindzholiya-predlozhim-mnogodetnym-semyam-sposoby-zarabatyvaniya-deneg.html>

„რუსეთის თავდაცვის ინტერესებში“

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინტერესებში, 2018 წლის პირველ კვარტალში, გაშენებულია 932 ინფრასტრუქტურული ობიექტი. ამის შესახებ, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ უწყების ხელმძღვანელს, სერგეი შოიგუს, მოახსენა.

თავის ანგარიშში ტიმურ ივანოვმა განმარტა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, გუდაუთაში დისლოცირებულ მე-7 სამხედრო და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დისლოცირებულ მე-4 სამხედრო ბაზაზე დასრულებულია სამხედრო დასახლებაში საყაზარმო-საცხოვრებელი, ტექნიკის პარკის საინჟინრო ქსელების მშენებლობა.

18.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://realty.ria.ru/realtynews/20180418/1518897978.html>

„აფხაზეთი სამთვეს ენგურჰესის და საქართველოს დახმარების გარეშე გაატარებს“

ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის უმსხვილეს მომხმარებლად რჩება იმ პირობებში, რომ არც გენერაციას აფინანსებს, არც ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რემონტს. როგორც „ეხო კავკასიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ენგურჰესის კომპლექსის გენერალურმა დირექტორმა ლევან მეზონიამ განაცხადა, ოკუპირებულ რეგიონში ელექტროენერჯის მოხმარება პერმანენტულად იზრდება, ბოლო 5 თვის განმავლობაში აფხაზეთურ მხარეს ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის 95% მიჰქონდა მაშინ, როდესაც ქართული მხარე დეფიციტს იმპორტის ხარჯზე ფარავდა.

საქართველოს ენერგობალანსის თანახმად, გასული წლის პირველი დეკემბრიდან მიმდინარე წლის მარტის ჩათვლით პერიოდში ოკუპირებულმა აფხაზეთმა 911 მილიონი კვტ/სთ მოიხმარა, თბილისმა კი – 1მლრდ 112 მლნ. გამოდის, რომ „5 მილიონიანი ქალაქი წარმოების გაშლილი ქსელით სულ 19%-ით მეტს მოიხმარს, ვიდრე ოკუპირებული რეგიონი, რომლის მოსახლეობაც 220 000-ს შეადგენს და რომელსაც მნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრეები არ გააჩნია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში საქართველო საგრძნობ დეფიციტს განიცდიდა, რის გამოც აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან 613 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერჯის იმპორტი განახორციელა.

ლევან მეზონიას განცხადებით, ზემოთ თქმულის მიზეზი ოკუპირებულ აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების კუთხით არსებულ სრულ უკონტროლოებაში მდგომარეობს:

ამ დღეებში სადგური სამი თვით შეაჩერებს მუშაობას, ჩვენ საკუთარი ძალებით გავარემონტებთ სადერივაციო გვირაბს, რომლითაც წყალი კაშხალიდან ოკუპირებული გალის რაიონში მდებარე ტურბინას მიეწოდება. არ ვიცით, რით დაფარავენ ისინი დეფიციტს, ალბათ, დახმარებისთვის რუსეთს მიმართავენ“ – განაცხადა მეზონიამ და იქვე დასძინა, რომ ამჯერად ქართული მხარე აფხაზეთისთვის დეფიციტის შევსებას არ აპირებს.

18.04.2018 <https://www.ekhhokavkaza.com/a/29175184.html>

„აფხაზეთი დელეგაცია იალტის ეკონომიკურ ფორუმზე“

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დელეგაცია, 2018 წლის 19-20 აპრილს, იალტაში ე.წ. მე-4 საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

აფხაზეთი ე.წ. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, დე-ფაქტო ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ზაურ გულია, სახელმწიფო საწარმოების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი გურამ კორსანტია, ლიცენზირების განყოფილების უფროსი იზეტ ხიბა, სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ინარ გიგბა და სხვა ე.წ. ოფიციალური პირები.

2018 წლის იალტის ე.წ. საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის გენერალური თემა იყო „მსოფლიოს მომავალი. რუსეთის მომავალი“

19.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mineconom-ra.org/ru/news/713/>

„აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია ესპანეთში“

2018 წლის 16-19 აპრილს, ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებმა ქ. ბარსელონაში გამართულ, კვების პროდუქტებისა და სასმელების, საერთაშორისო გამოფენაში “Alimentaria-2018” მიიღეს მონაწილეობა. დელეგაციას დე-ფაქტო სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი გენადი გაგულია ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ, ე.წ. პალატის ვიცე-პრეზიდენტი თამილა მირცხულავა, ე.წ. საგარეო ურთიერთობისა და ინვესტიციების სამმართველოს უფროსი კამა ცვიშა და ტურიზმის სამმართველოს ე.წ. უფროსი ინარ დაუროვი.

გამოფენაში მონაწილეობდნენ, ჩინეთის, მექსიკის, იტალიის, აშშ-ს, უკრაინის, თურქეთის და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

20.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.tppra.org/ru/novost/torgovo-promyshlennaya-palata-respubliki-abhaziya-prinyala-uchastie-v-mezhdunarodnoy-0>

„რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ინტერვიუ“

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებულ ახალ ინიციატივაში, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, საქართველო ფაქტიურად აღიარებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები არ თვლიან თავს საქართველოს მოქალაქეებად“-ამის შესახებ, რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მარია ზახაროვამ, ტელეკომპანია „ДОЖДЬ“-თან ინტერვიუში განაცხადა.

მარია ზახაროვას თქმით, „აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტის აღიარება გვაძლევს იმედს, რომ ახლო მომავალში თბილისი შეძლებს გაიაზროს და მიიღოს პოლიტიკური რეალობა“.

22.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://ria.ru/world/20180422/1519166328.html>

„გენადი გაგულია აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა“

2018 წლის 24 აპრილს, ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ, გენადი გაგულიას ე.წ. პრემიერ-მინისტრად დაინიშვნის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი.

ე.წ. ბრძანებაში ვკითხულობთ,

„1. სხვა სამსახურში გადასვლის მიზეზით, ბესლან ბარციცი გათავისუფლდეს აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან.

2. გენადი გაგულია დაინიშნოს აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

3. აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალოს, მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე, განაგრძოს თავისი უფლებამოსილების შესრულება.

4. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, წარმოადგინოს წინადადება მინისტრთა კაბინეტის პერსონალური შემადგელობისა და სტრუქტურის შესახებ“

24.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7630

„დაურ კოვეს ვიზიტი რესპუბლიკა არცაბში“

2018 წლის 23 აპრილს, ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ე.წ. დელეგაცია დე-ფაქტო მინისტრის, დაურ კოვეს, ხელმძღვანელობით სამუშაო ვიზიტით არაღიარებულ რესპუბლიკა არცახში გაემგზავრა. ე.წ. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფება დე-ფაქტო საგარეო უწყების სტრატეგიული თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ადგურ ჩეგია.

ე.წ. ვიზიტის ფარგლებში, დაურ კოვე შეხვდა არცახის ე.წ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მასის მაილიანს და დე-ფაქტო სახელმწიფო მინისტრს არაიკ არუთიუნიანს.

დე-ფაქტო სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას, განიხილეს ოკუპირებულ აფხაზეთში და ე.წ. რესპუბლიკა არცახის ტერიტორიაზე სავაჭრო სახლების გახსნის შესაძლებლობა და პერსპექტივები. აგრეთვე, შეეხნენ რიგ საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგში დგას.

24.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/othernews/daur-kove-provel-vstrechu-s-gosudarstvennym-ministrom-respubliki-artsakh-araikom-arutyunyanom/>